

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის

2020 წლის ანგარიში

სარჩევი

სამსახურის მიზნები და ამოცანები,
საქმიანობის ძირითადი მიმართულებები *3*

სტატისტიკური მონაცემები *4*

ტიპოლოგია *11*

საერთაშორისო შეფასება/ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა *13*


ნორმატიულ-სამართლებროვი ბაზა *16*

ტრენინგები და სემინარები *17*

სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, როგორც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ორგანო, ფუნქციონირებს 2004 წლიდან და თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენისა და მათი პრევენციის მიზნით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირებისგან იღებს ინფორმაციას საეჭვო და სხვა გარიგებების შესახებ, აანალიზებს მას და შესაბამისი დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ან/და სხვა პრედიკატიული დანაშაულის ჩადენის მიზნით, დაუყოვნებლივ, სხვა ორგანოსგან ან პირისგან ნებართვის მიღების გარეშე, გადასცემს ამ ინფორმაციას და მის ხელთ არსებულ სათანადო მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს.

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიზნები და ფუნქციები, მისი სტრუქტურა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 დეკემბრის #658 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებით”. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სტრუქტურა შემდეგნაირია:



ამჟამად მოქმედი სამსახურის საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2019 წლის

31 დეკემბრის #517 ბრძანებით. აღნიშნული აქტის საფუძველზე საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია 31 საშტატო ერთეული.

სტატისტიკური მონაცემები

„ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად[1], ანგარიშვალდებულ პირებს წარმოადგენენ:

ფინანსური ინსტიტუტები: არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი; არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი; სადაზღვევო ბროკერი, გადაზღვევის ბროკერი; ვალუტის გადამცვლელი პუნქტი; კომერციული ბანკი; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; საბროკერო კომპანია; საგადახდო მომსახურების პროვაიდერი; სადაზღვევო ორგანიზაცია; სალიზინგო კომპანია; სესხის გამცემი სუბიექტი; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი; საინვესტიციო ფონდი[2].

არაფინანსური ინსტიტუტები: ადვოკატი, საადვოკატო ბიურო; ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი; ნოტარიუსი; სერტიფიცირებული ბუღალტერი; იურიდიული პირი, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებას ახორციელებს და რომლის სახელით მოქმედებს სერტიფიცირებული ბუღალტერი; აუდიტორი, აუდიტორული (აუდიტური) ფირმა; ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელი პირი; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ანგარიშვალდებული პირები ვალდებულნი არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარუდგინონ ანგარიშგება საეჭვო გარიგების ან ასეთი გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების მცდელობის შესახებ. საეჭვო გარიგებების გარდა, კანონის მიხედვით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრავს გარიგებათა სახეობებს, რომელთა შესახებ ანგარიშგება ანგარიშვალდებულმა პირმა სამსახურს უნდა წარუდგინოს[3].

[1] „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 3.

[2] საინვესტიციო ფონდი ანგარიშვალდებულ პირად განისაზღვრა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2020 წლის 22 ივლისს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე.

[3] „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 25, პუნქტი 2.


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2020 წლის მანძილზე სამსახურში შემოსული ინფორმაციის სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება[4]:

ანგარიშვალდებული პირები	ანგარიშგების ფორმების საერთო რაოდენობა	მათ შორის ზღვარს ზემოთ	მათ შორის საეჭვო	მათ შორის ტერორიზმის დაფინანსება
კომერციული ბანკი	112862	112322	540	9
საკრედიტო კავშირი	6	6	0	0
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	27210	27139	71	3
სადაზღვევო კომპანია	86	86	0	0
სადაზღვევო ბროკერი	0	0	0	0
გადაზღვევის ბროკერი	0	0	0	0
საბროკერო კომპანია	624	622	2	0
ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი	198	196	2	0
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	13817	13815	2	0
სალიზინგო კომპანია	250	250	0	0
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	1887	1862	25	13
საინვესტიციო ფონდი	0	0	0	0
სესხის გამცემი სუბიექტი	0	0	0	0
ნოტარიუსი	822	822	0	0
ლატარეა და სხვ.მომგ.თამაშის მომწყ.(ორგ.) პირი	3785	3479	306	1
აუდიტორი	0	0	0	0
აუდიტორული (აუდიტური) ფირმა	0	0	0	0
სამორინე	1275	1265	10	10
საჯარო რეესტრი	10607	10558	49	0
საბაჟო	2082	2082	0	0


[4] გასათვალისწინებელია რომ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად, 2019 წლის 30 ოქტომბრამდე მოქმედი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული/გამოცემული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ინარჩუნებდა ძალას ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებამდე/გამოცემამდე. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი ანგარიშვადღებული პირების მიერ გამოგზავნილი ინფორმაციის სტატისტიკის მომზადებისას გათვალისწინებულია ახალი რეგულაციების ძალაში შესვლამდე (2020 წლის 20 ოქტომბრამდე) მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების მონაცემები.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია	0	0	0	0
ადვოკატი	0	0	0	0
საადვოკატო ბიურო	0	0	0	0
სულ	175511	174504	1007	36


გრაფიკულად 2020 წლის მანძილზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგების ფორმების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:



შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციის შედეგად ფინანსური (მათ შორის, კომერციული ბანკებიდან) და არაფინანსური ინსტიტუტებიდან 2020 წელს მიღებული ანგარიშგების რაოდენობის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:




არასაფინანსო სექტორიდან მიღებულ ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები, 2020წ.




თავის მხრივ, სამსახურში რეგისტრირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც საქართველოს საფინანსო სექტორს წარმოადგენენ, 2021 წლის 1 იანვრისთვის მოიცავდა: 15 კომერციულ ბანკს, 2


საკრედიტო კავშირს, 50 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 19 სადაზღვევო ორგანიზაციასა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს და 10 საბროკერო კომპანიას, 1 სადაზღვევო ბროკერს, 4 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, 819 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, 13 სალიზინგო კომპანიას, 38 საგადახდო მომსახურების პროვაიდერს და 44 სესხის გამცემ სუბიექტს.




კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც საქართველოს არასაფინანსო სექტორს წარმოადგენენ და აღრიცხვაზე არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, 2021 წლის 1 იანვრისთვის მოიცავდა: 335 ნოტარიუსს, 317 ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომწყობ პირს, 403 აუდიტორულ კომპანიას, 25 სამორინეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, შემოსავლების სამსახურს (საბაჟო ორგანო) და 1 ადვოკატს და 4 საადვოკატო ბიუროს.



2020 წელს მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა და „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს გადასცა 85 საქმე (მათ შორის, 1 საქმე ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების სავარაუდო შემთხვევაზე). აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით სამსახურის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისა და შემოსავლების სამსახურისთვის 2020 წლის მანძილზე გაგზავნილი საქმეების რაოდენობის შემცირება განპირობებულია Covid-19 ვირუსის გლობალური პანდემიით რამაც უარყოფითად იმოქმედა საქართველოს და პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპზე და, შესაბამისად, ამ პერიოდში განხორციელებული ტრანზაქციების კლება განაპირობა. გრაფიკულად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისა და შემოსავლების სამსახურისთვის 2017-2020 წლების მანძილზე გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



აღსანიშნავია, რომ „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის გაჩენისას, მიუხედავად გარიგების თანხის ოდენობისა, ანგარიშვალდებულ პირს წერილობით მისცეს მითითება არაუმეტეს 72 საათის განმავლობაში შესაბამისი გარიგების, აგრეთვე ამ გარიგებასთან ან/და ამ გარიგების მონაწილე პირთან დაკავშირებული სხვა გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების შეჩერების შესახებ.[5] 2020 წელს გარიგების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილება სამსახურის მიერ 4-ჯერ იქნა გამოყენებული, მათ შორის, ერთხელ უცხოელი კოლეგების შეკითხვაში არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



[5] „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 36.

ტიპოლოგია

2020 წელს Covid-19-ის გლობალური პანდემიის შედეგად საქართველოში ტრანზაქციების კლება აღინიშნა, შესაბამისად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ფინანსური სექტორიდან მიღებულმა საანალიზო ინფორმაციამ საგრძნობლად იკლო. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების, ანგარიშვალდებული პირებისგან გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციის, უცხოელი კოლეგებისგან მიღებული და ღია წყაროებში მოძიებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ 2020 წლის მანძილზე სამსახურის მიერ გამოვლენილი შემთხვევების დიდი წილი კიბერდანაშაულზე მოდიოდა, რაც გამოიხატა სხვადასხვა გზებით (კომპიუტერულ სისტემებში ან ელექტრონულ ფოსტაში არაავტორიზებული შეღწევა, საბანკო ანგარიშის გატეხვა, საბანკო რეკვიზიტების შეცვლა დოკუმენტაციაში, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაყალბება, მოპარული პლასტიკური ბარათების მონაცემების არაავტორიზებული გამოყენება, ე.წ. "Romance-scam", ე.წ. "Identity theft" და ა.შ.) მოპოვებული თანხების ლეგალიზაციის მცდელობებში. აღნიშნულ შემთხვევებში დანაშაულებრივი აქტივების გადაადგილებისთვის ტრადიციულად გამოიყენებოდა საბანკო ანგარიშები და სწრაფი ფულადი გზავნილები. თუმცა, სამსახურის შეფასებით, სულ უფრო ხშირი ხდება ამ მიზნებისთვის სხვადასხვა ელექტრონული საფულეებისა და ონლაინ ტოტალიზატორებში მომხმარებელთა ანგარიშების გამოყენება. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, ხორციელდება მომხმარებელთა საბანკო ანგარიშებიდან/ბარათებიდან თანხების ონლაინ ტოტალიზატორების ანგარიშებზე გადატანა, ხოლო იქიდან დამნაშავეების ან მათთან დაკავშირებული პირების ანგარიშებზე გადარიცხვა. სოციალური ინჟინერიისა და ყალბი ვებ-გვერდების გამოყენებით მომხმარებელთა კონფიდენციალური საბანკო მონაცემების დაუფლება საანგარიშო წლის მანძილზე კვლავ გაგრძელდა.

წინა წლების მსგავსად, 2020 წელსაც დანაშაულებრივი მიზნებისათვის აქტუალური იყო საქართველოში დაფუძნებული ისეთი იურიდიული პირების გამოყენება, რომელთა დასახელება საზღვარგარეთ მოქმედი მეტნაკლებად ცნობადი საერთაშორისო კომპანიების იდენტურია. მსგავსი მეთოდებით ხდება თაღლითების მსხვერპლი უცხოელი მეწარმეების ყურადღების მოდუნება საერთაშორისო გადარიცხვის შესრულებისას. აღნიშნულ ტიპოლოგიასთან დაკავშირებით, გასულ წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა შესაბამისი რეკომენდაციები გაუგზავნა კომერციულ ბანკებს.

Covid-19-ის გლობალური გავრცელების პარალელურად თავი იჩინა თაღლითობის ახალმა სახეობამ - ე.წ. „Covid-Scam“-მა. მსოფლიოში ერთჯერადი ჰიგიენურ და თავის დაცვის საშუალებებზე (პირბადეები, ერთჯერადი სამედიცინო ხელთათმანები, სადეზინფექციო ხსნარები და ა.შ.) დრამატულად გაზრდილმა მოთხოვნამ საშუალება მისცა თაღლითებს ახალი სახის სქემა აეწყოთ. ისინი უკავშირდებიან ჰიგიენური და თავის დაცვის საშუალებების შეძენის მსურველებს და სთავაზობენ პროდუქტს „მათ მფლობელობაში არსებული მარაგებიდან“ ან მათი „პარტნიორი მწარმოებლებისგან“ (ხშირ შემთხვევაში - რეალური მწარმოებლები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან), მხოლოდ იმ პირობით, რომ კონტრაქტის მთლიანი ღირებულების გარკვეული ნაწილის (დაახ. 30-40%) წინასწარ დაფარვა უნდა მოხდეს, შესაბამისად, ეს თანხები ბოროტმოქმედების ჯიბეებში ილექება, ხოლო დამკვეთისთვის პროდუქციის მიწოდება არ ხდება.

წინა წლების მსგავსად, 2020 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავებისთვის გადაგზავნილი რიგი საქმეებისა ეხებოდა პირებს, რომელთა ნაწილი იძებნებოდა უცხო ქვეყნის სამართალდამცავების მიერ, ხოლო ზოგიერთი შეყვანილი იყო საერთაშორისო ე.წ. „შავ სიებში“, როგორებიცაა მაგალითად, ინტერპოლის ძებნილთა სია, აშშ-ის ხაზინის უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი და ა.შ.

საანგარიშო წლის განმავლობაში კვლავ გაგრძელდა საქართველოში განთავსებული საბანკო ანგარიშების გამოყენება სატრანზიტო მიზნებისთვის. კომპანიების (მათ შორის, საქართველოს სხვადასხვა თავისუფალ ინდუსტიულ ზონებში დარეგისტრირებული იურიდიული პირების) ანგარიშებზე ხორციელდებოდა ჩარიცხვები და შემდგომი გადარიცხვები მესამე ქვეყნებში, ხოლო მთლიანი ბრუნვა ხშირად რამდენიმე მილიონი ლარის ეკვივალენტს აღწევდა. როგორც წესი, მსგავსი იურიდიული პირების საქმიანობას საქართველოსთან ეკონომიკური კავშირი არ აქვს.

2020 წელს გაიზარდა ქოლ-ცენტრების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა. ეს კომპანიები სატელეფონო კონტაქტს ამყარებენ პოტენციურ მომხმარებლებთან საზღვარგარეთ და სთავაზობენ სხვადასხვა პროდუქტის შეძენას, ინვესტიციის განხორციელებას, ვალუტების კურსებზე და ბინარულ ოპციონებზე თამაშსა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ქოლ-ცენტრის საქმიანობა ლეგიტიმური ბიზნესია, რიგ შემთხვევებში, თანხის გადახდის შემდეგ მომხმარებელი ან საერთოდ ვერ იღებს წინასწარ შეთანხმებულ მომსახურებას ან იღებს გაცილებით დაბალი ხარისხის სერვისს (ე.წ. „Boiler Room Scam“) ან კარგავს იმ თანხას, რომლითაც ე.წ. ინვესტიცია განახორციელა (ე.წ. „Investment Scam“).

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა უცნობი პირების მიერ მომხარებლისათვის სოციალური ქსელების საშუალებით გზავნილების გაგზავნისა და რეკლამის განთავსების სახით სერვისების შეთავაზება. მსგავს შემთხვევებში, ანგარიშსწორების შემდეგ, მომხმარებელი ფინანსურ ინსტიტუტებში აფიქსირებს, რომ მომსახურება ვერ მიიღო, ხოლო გადახდილი თანხა კი დაკარგა. ვინაიდან, ამ ტიპის დანაშაულის ხელშემწყობი პირობები, მათ შორის, საყოველთაო შეზღუდვების ფონზე ფორმირებული ონ-ლაინ ვაჭრობის ხელშემწყობი გარემო, თაღლითების მხრიდან გასაწევი მინიმალური ფინანსური რისკი და ონლაინ-მომხმარებლების უმრავლესობის არასათანადო სიფრთხილე კვლავ ნარჩუნდება, სავარაუდოა რომ უახლოეს მომავალში მსგავსი ტიპის დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის ტენდენცია კვლავ გაგრძელდება.

საერთაშორისო შეფასება/ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტმა 2020 წლის 14-18 სექტემბერს, მე-60 პლენარულ სხდომაზე, განიხილა და დაამტკიცა საქართველოს მეხუთე რაუნდის ერთობლივი შეფასების ანგარიში. ანგარიში საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით აანალიზებს და აფასებს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და დევნის ეროვნულ სისტემას, რის შედეგადაც ქვეყანას, ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) საერთაშორისო მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, ეძლევა რეკომენდაციები როგორც ტექნიკური შესაბამისობის დონეზე, აგრეთვე, ქვეყნის ეროვნული ჩარჩო სისტემის ეფექტურობისა და ინსტიტუციური მექანიზმების გასაძლიერებლად.

მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშში დადებითად არის შეფასებული საქართველოს მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მიზნით, 2014 - 2019 წლებში განხორციელებული რიგი ღონისძიებები, მათ შორის, რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის დამტკიცება, კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციისთვის გატარებული ზომები, სამართალდამცავ ორგანოებსა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისათვის მიმართული ღონისძიებები და საფინანსო სექტორის ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები.

შეფასების ანგარიშში აღიარებულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების იურისდიქციაში არსებული რისკების ცოდნის მაღალი დონე, აგრეთვე, დადებითად არის შეფასებული სამსახურის მიერ გატარებული ზომები საეჭვო ტრანზაქციების რეპორტინგის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შესაბამისი ანალიზის შედეგების სამართალდამცავ უწყებებში გადაგზავნა არაერთი გამოძიებისა და სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი გახდა. ერთობლივი შეფასების ანგარიში მიმოიხილავს და აღიარებს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ოპერატიულ დამოუკიდებლობას და შესაძლებლობას წვდომა იქონიოს სხვადასხვა სახის ინფორმაციასა და წყაროებზე, მათ შორის, პირდაპირი წვდომა ჰქონდეს რიგ მონაცემებზე და საერთაშორისო საინფორმაციო ბაზებზე, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება სამსახურში თავმოყრილი ინფორმაციის ეფექტური ანალიზის და ფინანსური სადაზვერვო ინფორმაციის ჩამოყალიბების პროცესზე.

მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ შესაფასებელ პერიოდში მოქმედმა საკანონმდებლო შეზღუდვებმა ხელი შეუშალეს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის ეფექტურ შესაძლებლობებს, რის გამოც ქვეყანას ეძლევა რეკომენდაცია შემდგომი ნაბიჯები გადაიდგას აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისათვის, მათ შორის, მოიხსნას შეზღუდვები ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით.

შეფასების ანგარიში აგრეთვე განიხილავს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საზედამხედველო ორგანოების ინსტიტუციურ შესაძლებლობებს და მათ უნარს ეფექტურად მოახდინონ საზედამხედველო ღონისძიებების გატარება შესაბამის სექტორში. ანგარიშში ხაზგასმულია საქართველოს ეროვნული ბანკის როლი და აღიარებულია ფინანსურ სექტორში რისკების შემცირების უზრუნველყოფისათვის მისი ეფექტური საზედამხედველო პოლიტიკა. ანგარიშის მიხედვით, მნიშვნელოვნადაა გასააქტიურებელი საზედამხედველო ღონისძიებები არასაფინანსო საქმიანობის განმახორციელებელი პირების ზედამხედველობის მიმართულებით, რაც შეიძლება გამოხატული იყოს, მათ შორის, შესაბამისი უწყებრივი საზედამხედველო ქვედანაყოფის შექმნით, სანქციების გამკაცრებით, ბაზარზე დასაშვებობის კრიტერიუმების შემოღებით, სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავებით, სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავებით და ა.შ. გარდა ამისა, ანგარიშში აღიარებულია ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირების სიის ქვეყანაში შემდგომი გაფართოების და სრული დანერგვის აუცილებლობა და ამ მიზნით საქართველოს


მიერ სამომავლოდ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებია გამოთქმული.

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტის მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიში MONEYVAL-ის კომიტეტის მხრიდან საქართველოს მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წანააღმდეგ ბოლო წლებში გატარებული წარმატებული ღონისძიებების და მასში მონაწილე უწყებებისა და ორგანიზაციების ეფექტური მუშაობის მნიშვნელოვანი აღიარებაა.

2020 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ აგრეთვე „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (C198-COP) ხელმომწერ მხარეთა მე-12 კონფერენციის მუშაობაში (2020 წლის 27-28 ოქტომბერი, სტრასბურგი).

საანგარიშო წლის მანძლზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ორმხრივი თანამშრომლობა უცხოელ კოლეგებთან. 2020 წელს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებიდან მიღებულ იქნა 66 შეკითხვა, შესაბამისი პასუხი გაეცა ყველა მათგანს. თავის მხრივ, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ უცხოელ კოლეგებთან გაგზავნილ იქნა 71 შეკითხვა, აქედან პასუხი მიღებული იქნა 62 მათგანზე. საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2020 წელს გაეგზავნათ ინფორმაცია ფულის გათეთრების 16 შესაძლო შემთხვევაზე, ხოლო უცხოელი კოლეგებისგან მიღებულ იქნა შეტყობინება 45 ანალოგიური ფაქტის თაობაზე.

მიღებული და გაგზავნილი შეკითხვები 2018–2020წწ.



2020 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ინტენსიური თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებთან. ანგარიშვალდებული პირების შემოწმების მომზადებასა და ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის სისტემატიური ურთიერთგაცვლა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა

2020 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გაგრძელდა მუშაობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მარეგულირებელ ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზაზე. იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წლის 30 ოქტომბერს მიღებული „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებების მიხედვით, მანამდე მოქმედი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული/გამოცემული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ინარჩუნებდა ძალას ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებამდე/გამოცემამდე, სამსახურის მიერ 2020 წლის 5 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება #1 „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის

აღრიცხვის, შენახვის და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ და ბრძანება #2 „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული ნორმატიული აქტებით, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, მოწესრიგებულია ანგარიშვალდებული პირების მიერ გარიგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვის, აგრეთვე, საეჭვო გარიგების და გარიგებათა ცალკეული სახეობების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესი და პირობები, აგრეთვე, განსაზღვრულია ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტისა და კლიენტის სახელით მოქმედი პირის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის მიზნით მოსაპოვებელი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ინფორმაცია და დოკუმენტები, აგრეთვე, ამ მონაცემების, ინფორმაციისა და დოკუმენტების დამოწმების, აღრიცხვის, შენახვისა და განახლების წესი. ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტები ამოქმედდა 2020 წლის 20 ოქტომბრიდან, შესაბამისად მათ ამოქმედებამდე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, ახალი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების ირგვლივ ცნობადობის ამაღლების მიზნით, კონსულტაციები გამართა ანგარიშვალდებულ პირებთან და შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან.

ტრენინგები და სემინარები

Covid-19-ის გლობალური პანდემიით გამოწვეული საყოველთაო შეზღუდვების მიუხედავად 2020 წელს გაგრძელდა ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ონლაინ სემინარებისა და ვორკშოპების ორგანიზება. ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის „კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან თანამშრომლობით, 2020 წლის 5-6 ნოემბერს საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებისთვის გაიმართა ონლაინ ტრენინგი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CFT) შესახებ მოთხოვნების ეფექტიანი იმპლემენტაცია“, ხოლო 23-24 ნოემბერს სათამაშო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი „სათამაშო ბიზნესის სექტორში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CTF) ნორმებთან შესაბამისობა სამორინეებისა და ონლაინ აზარტული თამაშობებისათვის“.

2020 წელს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების თაობაზე ცნობადობის ამაღლების მიზნით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა საქართველოს ნოტარიუსთა პალატასთან ერთობლივად უზრუნველყო ონლიან სემინარების ორგანიზება ნოტარიუსებისათვის.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო ტრენინგსა თუ სემინარში, აგრეთვე, დაესწრნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით გამართულ შესაბამის შეხვედრებს. კერძოდ, 2020 წელს სამსახურის თანამშრომლები ონლაინ მონაწილეობდნენ:

27 ივლისს - ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ ორგანიზებულ ვებინარში „ველური ბუნებით უკანონო ვაჭრობა და ფულის გათეთრება“’

30 ივლისს - ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ ორგანიზებულ ვებინარში „Covid-თან დაკავშირებული ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების გარემო“;

31 ივლისს - ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ ორგანიზებულ ვებინარში „Covid-ის გავლენა ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების აღმოჩენაზე“;

17-18 ნოემბერს - TAIEX-ის საერთაშორისო ონლაინ ვორკშოპში "უსაფრთხოების რისკები Covid-19-ის პანდემიის პირობებში";

26 სექტემბერს - ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სემინარში „ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება“.